



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries



გარემოსდაცვითი
ინფორმაციისა და განათლების
ცენტრი

საქართველოში ეკოეტიკტირებისა და მდგრადი საჯარო შესყიდვების
შესახებ მაღალი დონის დიალოგი

დღის წესრიგი
სამშაბათი, 25 ოქტომბერი, 2022
10:30-17:00 (თბილისის დროით, GMT+4)

Action implemented by:



ზოგადი ინფორმაცია

2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რითაც აჩვენა რეფორმების გატარებისა და სხვადასხვა სექტორის პოლიტიკის ევროკავშირის მიდგომებთან შესაბამისობაში მოყვანის მზადყოფნა. ასოცირების შესახებ შეთანხმების რამდენიმე მუხლი ითვალისწინებს მწვანე ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლას, კერძოდ, აღნიშნული დებულებები მოითხოვს მდგრადი საჯარო შესყიდვებისა და ეკოეტიკეტირების სისტემების შექმნას. ეკოეტიკეტირება მდგრადი საჯარო შესყიდვების ერთ-ერთ იმ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელსაც საქართველოში მხარს უჭერს ევროკავშირი. ამასთან, მდგრადი საჯარო შესყიდვები განიხილება, როგორც ეფექტური გზა, მწვანე ეკონომიკის მოდელზე გადასასვლელად.

გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP) არის ხუთი პარტნიორი ორგანიზაციიდან ერთ-ერთი, რომელიც ახორციელებს ახლადდაწყებულ ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ EU4Environment (ევროკავშირი გარემოსთვის) აქტივობებს. ეს რეგიონული პროგრამა მხარს უჭერს 6 ქვეყანას, მათ შორის, საქართველოს პოლიტიკის დაგეგმვისა და ინვესტიციების გამწვანებაში, ინოვაციური პროდუქტებისა და ტექნოლოგიების ათვისების სტიმულირებაში და გარემოსდაცვითი საქმიანობის სარგებლიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. უფრო კონკრეტულად, EU4Environment-ის კომპონენტის — „ცირკულარული ეკონომიკა და ზრდის ახალი შესაძლებლობების“ ფარგლებში, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა მხარს უჭერს საქართველოს მდგრადი საჯარო შესყიდვების შესახებ საკითხებსა და დამატებით ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საქმიანობის პოპულარიზაციაში.

მდგრადი საჯარო შესყიდვები

საჯარო შესყიდვები ქმნის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 25-30%-ს. 2019 წელს, საქართველოში შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ საქონლის, მომსახურებების და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით დაიხარჯა 5 მილიარდ ლარზე მეტი. საჯარო სახსრების მიმართვა უფრო მდგრადი საქონლისა და მომსახურებების შესყიდვის მიმართულებით ისეთი პოზიტიური სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური შედეგების დადგომას შეუწყობს ხელს, როგორებიცაა, სიღარიბის შემცირება, თანასწორობის განმტკიცება, სათბური გაზების ემისიების შემცირება და ენერჯისა და რესურსების ეფექტურობის გაზრდა. აღნიშნული ასევე უზრუნველყოფს არსებული შესაძლებლობის გამოყენებას ბიზნესისა და შიდა ბაზრების ინოვაციისა და მდგრადობისკენ გადასასვლელად. ამგვარად, მდგრადი საჯარო შესყიდვების განხორციელებით ჩნდება პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტი მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად და ინკლუზიური მწვანე ეკონომიკის მოდელზე გადასასვლელად.

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით ახორციელებს ღონისძიებებს მდგრადი საჯარო შესყიდვების დანერგვისა და პოპულარიზაციის მიზნით. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს კანონმდებლობის გაუმჯობესებას მდგრადი საჯარო შესყიდვების დებულებების დანერგვის მიზნით, დამატებითი ინსტრუმენტების შემუშავებას (კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, სახელმძღვანელოები, სასწავლო მასალები), პრიორიტეტული შესყიდვის ობიექტების

იდენტიფიცირებას მდგრადი საჯარო შესყიდვების საპილოტე პროცედურებისთვის, ასევე, თითოეულ პრიორიტეტულ პროდუქტთან მიმართებით მდგრადობის კრიტერიუმების შემუშავებას. ამასთან, გათვალისწინებულია საჯარო უწყებების, აგრეთვე, ბიზნესსექტორის, მათ შორის მცირე და საშუალო საწარმოების და ბიზნეს ასოციაციების ცნობიერების ამაღლება მდგრადი საჯარო შესყიდვების სარგებლის შესახებ, საჯარო შესყიდვის განხორციელებისას ბიზნესის შესაძლებლობების გასაზრდელად.

მაღალი დონის დიალოგის მდგრადი საჯარო შესყიდვების შესახებ სესიის მიზნები

- სამთავრობო დღის წესრიგში მდგრადი საჯარო შესყიდვების შესახებ დისკუსიის გამოყენება, საქართველოში მდგრადი საჯარო შესყიდვების განხორციელების მიმართულებით გადადგმული სამართლებრივი ნაბიჯების მხარდასაჭერად;
- საქართველოს ხელისუფლების, ბიზნეს ასოციაციების, ეროვნულ დონეზე დაინტერესებულ პირთა ცნობიერების ამაღლება მდგრადი საჯარო შესყიდვების მიდგომისა და მისი ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებლის შესახებ;
- დარგობრივი სამინისტროებისა და შემსყიდველი ორგანიზაციების წახალისება მწვანე საჯარო შესყიდვების განსახორციელებლად;
- საქართველოში ახლად შემუშავებული მდგრადი საჯარო შესყიდვების შესახებ პოლიტიკის დოკუმენტების განხორციელების ხელშეწყობა;
- ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა მდგრად საჯარო შესყიდვებსა და ქვეყანაში მდგრადი განვითარების მიმართულებით (მათ შორის, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მიმართულებით) არსებული პოლიტიკის განვითარების, მწვანე ეკონომიკაზე გადასვლისა და მდგრადი მოხმარებისა და წარმოების მოდელის ხელშეწყობის საკითხებთან მიმართებით;
- საქართველოში მდგრადი საჯარო შესყიდვების პრაქტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლება და მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ასოცირების შეთანხმებითა და გარემოსდაცვითი მრავალმხრივი შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

ეკოეტიკეტირება

ეკოეტიკეტირების სისტემა საქართველოში ჯერ არ დამკვიდრებულა, მიუხედავად ძირითადი საკანონმდებლო დოკუმენტებისა, რომლებიც ასახავს ეკოეტიკეტირებასთან დაკავშირებულ საკითხებს. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს ეკოეტიკეტირების ასპექტებსა და ბიომრავალფეროვნების სტრატეგიის, უკიდურესად საშიში საქმიანობების სავალდებულო დაზღვევის, ეკონომიკური სტიმულირებისა და ეკოეტიკეტირების შესახებ საკითხებს. საბოლოოდ, რამდენიმე საერთაშორისო შეთანხმება, რომლის მონაწილეც საქართველოა, აყალიბებს მოთხოვნებს ეკოეტიკეტირების შემუშავებისა და გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ.

ეკოეტიკეტირების განვითარება ხელს უწყობს საზოგადოების მნიშვნელოვანი მოთხოვნების დაკმაყოფილებას:

- მოსახლეობის საერთო დისკუსიის გაზრდას პროდუქტის მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებით;

- თანმიმდევრულობის უზრუნველყოფას მდგრად საჯარო შესყიდვებსა და ეკოეტიკტირებას, როგორც მისი განხორციელების ინსტრუმენტს შორის (თუ მდგრადი საჯარო შესყიდვები სავალდებულოა ქვეყანაში, კომპანიებს ექნებათ ძლიერი მოტივაცია, მიიღონ ეკოეტიკეტი თავიანთი წარმოებული პროდუქტებისთვის);
- ევროკავშირის ბაზრის ხელმისაწვდომობის ზრდას — ბოლო 6 წლის განმავლობაში მდგრადობის ნიშნის მქონე პროდუქტების ოდენობა ორჯერ სწრაფად იზრდება, ვიდრე ჩვეულებრივი პროდუქტების შემთხვევაში (მდგრადი ბიზნესის ცენტრი, 2021).

საქართველოში ეკოეტიკტირების დამატებითი ხელშეწყობისთვის, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობით ახორციელებს მთელ რიგ აქტივობებს, კერძოდ, გაანალიზებულ იქნა ეკოეტიკტირების შესახებ კანონმდებლობა, მათ შორის, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც აწესებს ვალდებულებებს საქართველოში ეკოეტიკტირებასთან მიმართებით და მომზადებულ იქნა ანგარიში. აგრეთვე, გაანალიზებულ იქნა საქართველოში მოქმედი ეკოეტიკტირების სისტემა. ეტიკეტები გვაწვდიან ინფორმაციას საქართველოში მოქმედი აკრედიტაციის ორგანოების შესახებ, აღნიშნული წარმოადგენს ნებაყოფლობით სქემებს, როგორიცაა მაგალითად, ბიოწარმოება. ხსენებული ანგარიში გავრცელდა სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის. საქართველოში არსებული ეკოეტიკტირების სისტემების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია ქართულ და ინგლისურ ენებზე გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე.

გარდა ამისა, შემუშავდა საინფორმაციო მასალები და სახელმძღვანელო არსებული ეტიკეტების შესახებ. დოკუმენტი გათვლილია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებზე (პოლიტიკის შემქმნელები და ბიზნესი). სახელმძღვანელო მოიცავს ეკოეტიკტირების ზოგადი განმარტებისა და მისი კატეგორიების შესახებ, აგრეთვე, მდგრადი განვითარების მიზნებთან კავშირის თაობაზე საკითხებს, ბიოწარმოების ქართულ სერტიფიცირებასთან და ხარისხის ნიშნებთან დაკავშირებულ საკითხებს და ა.შ. მასალების ილუსტრირებული ვერსია ხელმისაწვდომია ქართულ და ინგლისურ ენებზე. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ელექტრონული ბიბლიოთეკის და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდებზე. ეკოეტიკტირების სარგებლის საკითხებზე იგეგმება საჯარო უწყებების, ასევე ბიზნეს სექტორის, მათ შორის მცირე და საშუალო მეწარმეებისა და ბიზნეს ასოციაციების ცნობიერების ამაღლება.

მაღალი დონის დიალოგის ეკოეტიკტირების შესახებ სუსიის მიზნები

- სამთავრობო დღის წესრიგში ეკოეტიკტირების შესახებ დისკუსიის გამოყენება საქართველოში ეკოეტიკტირების სისტემის განვითარების მხარდასაჭერად;
- საქართველოს საჯარო უწყებების, ბიზნეს ასოციაციების, ეროვნული დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლება ეკოეტიკტირების, ეტიკეტის, ბიოწარმოების სერტიფიცირების, ხარისხის ნიშნისა და სხვა საკითხების შესახებ;
- ეკოეტიკტირების, როგორც ინდივიდუალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ეფექტური ინსტრუმენტის, ასევე, მდგრადი საჯარო შესყიდვების ინსტრუმენტის ხელშეწყობა;

- ეკოეტიკეტირების, როგორც სტრატეგიული ინსტრუმენტის პოპულარიზაცია სხვადასხვა ბაზარზე (ევროკავშირის ბაზარზე) წვდომის გაზრდის მიზნით;
- საქართველოში ეკოეტიკეტირების პრაქტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლება და სრული მხარდაჭერის უზრუნველყოფა, რაც წარმოადგენს ეფექტურ გზას ასოცირების შეთანხმებითა და გარემოსდაცვითი მრავალმხრივი შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

მონაწილეები

საქართველოს სამთავრობო ინსტიტუტების, ბიზნეს ასოციაციების, ეროვნულ დონეზე დაინტერესებული პირების მაღალი დონის წარმომადგენლები, ასევე ევროკავშირის დელეგაციის, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის, მსოფლიო ბანკის, GIZ-ის, USAID-ის, UNOPS-ის წარმომადგენლები.

პრაქტიკული ინფორმაცია

მაღალი დონის დიალოგი გაიმართება 25 ოქტომბერს (10:300-17:00) მისამართზე: ქ. თბილისი, სასტუმრო რედისონ ბლუ ივერიაში (მის: ვარდების მოედანი 1).

ინგლისური და ქართული დიალოგის ენებია. ინგლისურ-ქართული სინქრონული თარგმანი უზრუნველყოფილი იქნება დიალოგის მანძილზე.

ფორმატი და კითხვები პანელისტების მიმართ

დიალოგი ორგანიზებულ იქნება თემის ირგვლივ მოკლე შესავალი პრეზენტაციისა და მდგრადი საჯარო შესყიდვებისა და ეკოეტიკეტირების შესახებ პანელური დისკუსიის სესიების სახით, რომელიც ჩატარდება კითხვა-პასუხის ფორმატში, შესაბამისი მოდერაციით.

მაღალი დონის დიალოგის მდგრადი საჯარო შესყიდვების სესია წარიმართება პანელისტების მიერ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებზე პასუხის გაცემით:

- 1) რა არის პოლიტიკის წინაპირობები საქართველოში იმისათვის, რომ შეიქმნას ხელსაყრელი გარემო პირობები მდგრადი საჯარო შესყიდვების პოპულარიზაციისა და მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის?
- 2) როგორ შეაფასებდით ეროვნულ დონეზე დაინტერესებულ პირთა ცნობიერების დონეს მდგრადი საჯარო შესყიდვების არსის თაობაზე. საქართველოში მდგრადი საჯარო შესყიდვების განხორციელების რა გამოწვევები არსებობს?
- 3) თქვენი აზრით, მდგრადი საჯარო შესყიდვების განხორციელებისათვის წინ გადადგმული ნაბიჯები (გაუმჯობესებული კანონმდებლობა, შემუშავებული დამატებითი ინსტრუმენტები, ტრენინგი და ცნობიერების ამაღლების კამპანია და ა.შ.) რომელიც მხარდაჭერილია EU4Environment-ის /გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის მიერ საკმარისია საქართველოში მდგრადი საჯარო შესყიდვების განსახორციელებლად?
- 4) როგორ ხედავთ საერთაშორისო პარტნიორთა როლს (მაგალითად, გაეროს სააგენტოები, GIZ, USAID, IFIs, საელჩოები და ა.შ.) მდგრადი საჯარო შესყიდვების ეროვნულ დონეზე პოპულარიზაციაში?
- 5) რა მიდგომები შეიძლება იქნეს შემოთავაზებული საჯარო უწყებების (შემყიდველი ორგანიზაციების) მიერ ბიზნესის მოტივაციის ასამაღლებლად, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ მდგრადი საჯარო შესყიდვების განხორციელების პროცესში,

საბოლოოდ, ბაზარზე ეკო-ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების ტრანსფორმაციის უზრუნველსაყოფად?

6) როგორ შეიძლება მდგრადი საჯარო შესყიდვებს უკეთესი პოპულარიზაცია უმაღლეს ეროვნულ დონეზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს მხარდაჭერა ქვეყნის მიერ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის გზაზე, რათა შესრულდეს სხვადასხვა შეთანხმებებით, მათ შორის ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები?

დიალოგის მდგრადი საჯარო შესყიდვების შესახებ სესიის პანელისტები

სესიაზე წარმოდგენილი იქნებიან ქვემოთ მოცემული პანელისტები (tbc):

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი/მინისტრის მოადგილე;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი/მინისტრის მოადგილე;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მინისტრი/მინისტრის მოადგილე;
- საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე;
- საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრი;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე/თავმჯდომარის მოადგილე;
- ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელი საქართველოში;
- რეგიონალური კოორდინატორი/თეირანის კონვენციის დროებითი სამდივნოს კოორდინატორი, UNEP;
- პროგრამის ოფიცერი, ეკონომიკის განყოფილება, რესურსებისა და ბაზრის მიმართულება, UNEP;
- საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლები.

დიალოგის მდგრადი საჯარო შესყიდვების შესახებ სესიის მოდერატორი: თამარ ალადაშვილი, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

მაღალი დონის დიალოგის ეკოეტიკეტირების შესახებ სესია წარიმართება პანელისტების მიერ, ქვემოთ მოცემულ შეკითხვებზე პასუხის გაცემით:

- 1) რა სარგებელი მოაქვს საქართველოსთვის ეკოეტიკეტირების ინფრასტრუქტურის განვითარებას?
- 2) რა არის საქართველოს პოლიტიკის განვითარების პრიორიტეტები, რათა შეიქმნას ხელსაყრელი გარემო პირობები ეკოეტიკეტირების ხელშეწყობისა და პრაქტიკაში განსახორციელებლად?
- 3) რამდენად ეფექტურია ეკოეტიკეტი მდგრადი მოხმარებისა და წარმოების გასაზრდელად?
- 4) როგორ შეაფასებდით ეროვნულ დონეზე დაინტერესებულ პირთა ცნობიერების დონეს ეკოეტიკეტირების შესახებ? ეკოეტიკეტირების სისტემის რა გამოწვევებს ხედავთ საქართველოში?
- 5) როგორ შეუძლია საჯარო სექტორმა/მთავრობამ ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად წაახალისოს კერძო სექტორი, მიიღონ სერტიფიცირება არსებული ეკოეტიკეტი (მათ შორის, ევროკავშირის ეკოეტიკეტი)? როგორ შეიძლება მდგრადი

საჯარო შესყიდვა გამოყენებულ იქნეს როგორც ინსტრუმენტი ეკოეტიკების პოპულარიზაციისთვის?

6) როგორ ხედავთ საერთაშორისო პარტნიორების (მაგალითად, გაეროს სააგენტოები), ისევე როგორც საერთაშორისო პროექტების (მაგალითად, EU4Environment) როლს, ეროვნულ დონეზე ეკოეტიკების ხელშეწყობაში?

7) როგორ შეიძლება განხორციელდეს ეკოეტიკების უმაღლეს ეროვნულ დონეზე წახალისება, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს მხარდაჭერა მდგრადი განვითარების მიღწევის გზაზე, რათა შესრულდეს სხვადასხვა შეთანხმებებით ნაკისრი, მათ შორის ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები?

დიალოგის ეკოეტიკების შესახებ სესიის პანელისტები

სესიაზე წარმოდგენილი იქნებიან ქვემოთ მოცემული პანელისტები (tbc):

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი/მინისტრის მოადგილე;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი/მინისტრის მოადგილე;
- საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე;
- საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მინისტრი/მინისტრის მოადგილე;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე;
- ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელი საქართველოში;
- რეგიონალური კოორდინატორი/თეირანის კონვენციის დროებითი სამდივნოს კოორდინატორი, UNEP;
- პროგრამის ოფიცერი, ეკონომიკის განყოფილება, რესურსებისა და ბაზრის მიმართულება, UNEP;
- საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლები.

დიალოგის ეკოეტიკების შესახებ სესიის მოდერატორი: მარიამ დარჩია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მდგრადი განვითარების ხელშეწყობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

EU4Environment-ის შესახებ

„ევროკავშირი გარემოსთვის“ (EU4Environment - მწვანე ეკონომიკა) ეხმარება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს, დაიცვან თავიანთი ბუნებრივი კაპიტალი და გაზარდონ მოსახლეობის გარემოსდაცვითი კეთილდღეობა, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მოქმედებების მხარდაჭერით, მწვანე ზრდის დემონსტრირებითა და შესაძლებლობების განვითარებით, გარემოსდაცვითი რისკებისა და ზემოქმედების მართვის მექანიზმების დანერგვით.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება ხუთი პარტნიორი ორგანიზაციის — OECD, UNECE, UNEP, UNIDO და მსოფლიო ბანკის მიერ, დაახლოებით 20 მილიონი ევროს ბიუჯეტის ფარგლებში, 2019-2024 წლებში.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მიმართოთ: EU4Environment@oecd.org.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ ეწვიოთ ჩვენს ვებგვერდს:
www.eu4environment.org.

საქართველოში მდგრადი საჯარო შესყიდვებისა და ეკოეტიკტირების შესახებ მაღალი დონის დიალოგი, 25 ოქტომბერი

დრო	საკითხი
10:30-11:00	<ul style="list-style-type: none"> რეგისტრაცია, ყავა/ჩაი ინტერვიუები მედიის წარმომადგენელთათვის
11:00- 11:20	<p>გახსნითი სიტყვა</p> <ul style="list-style-type: none"> ოთარ მამუგია, მინისტრი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (tbc) / სოლომონ პავლიაშვილი, მინისტრის მოადგილე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (tbc) ლევან დავითაშვილი, მინისტრი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (tbc) ლაშა ხუციშვილი, მინისტრი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (tbc) მაია ბითაძე, კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი ალექსანდრე დარასი, ატაშე, თემატური სექტორის კოორდინატორი კავშირის, ენერჯია, გარემო და კლიმატის ცვლილება, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში (tbc) მაჰირ ალიევი, რეგიონალური კოორდინატორი/თეირანის კონვენციის დროებითი სამდივნოს კოორდინატორი, UNEP
მდგრადი საჯარო შესყიდვების შესახებ სესია	
11:20-11:50	<p>მდგრადი საჯარო შესყიდვები და რეგულირების რეფორმა საქართველოში</p> <ul style="list-style-type: none"> ერიქს მეზალისი, საერთაშორისო სამართლის ექსპერტი, EU4Environment პროექტის ჯგუფი <p>მდგრადი საჯარო შესყიდვების სამართლებრივი დებულებები კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტში</p> <ul style="list-style-type: none"> ნატო ბერიძე, ეროვნული სამართლის ექსპერტი, EU4Environment პროექტის ჯგუფი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
11:50-14:00	<p>მდგრადი საჯარო შესყიდვების შესახებ პანელური დისკუსიის სესია</p> <p>მოდერატორი: თამარ ალადაშვილი, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>

	<p>პანელისტები (tbc):</p> <ul style="list-style-type: none"> -საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი/მინისტრის მოადგილე; -საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი/მინისტრის მოადგილე; -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მინისტრი/მინისტრის მოადგილე; -საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე; -საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრი; -სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე/თავმჯდომარის მოადგილე; -ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელი საქართველოში; -რეგიონალური კოორდინატორი/თეირანის კონვენციის დროებითი სამდივნოს კოორდინატორი, UNEP; -პროგრამის ოფიცერი, ეკონომიკის განყოფილება, რესურსებისა და ბაზრის მიმართულება, UNEP; -საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები; -ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენლები.
14:00-15:00	სადილი
ეკოტიკტირების შესახებ სესია	
15:00-16:45	<p>ეკოტიკტირების შესახებ პანელური დისკუსიის სესია</p> <p>მოდერატორი: მარიამ დარჩია, მდგრადი განვითარების ხელშეწყობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p> <p>პანელისტები (tbc):</p> <ul style="list-style-type: none"> -საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი/მინისტრის მოადგილე; -საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი/მინისტრის მოადგილე; -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მინისტრი/მინისტრის მოადგილე; -საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე; -საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრი; -სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე; -ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელი საქართველოში; -რეგიონალური კოორდინატორი/თეირანის კონვენციის დროებითი სამდივნოს კოორდინატორი, UNEP;

	<ul style="list-style-type: none">-პროგრამის ოფიცერი, ეკონომიკის განყოფილება, რესურსებისა და ბაზრის მიმართულება, UNEP;-საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები;-ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენლები.
16:45-17:00	საბოლოო სიტყვა და მადალი დონის დიალოგის დახურვა